დამტკიცებულია

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის
დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-13 ბრძანებით

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

2026 წელი

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა (შემდგომში - სკოლა/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება) უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ ინფორმაციისა/დოკუმენტის ხელმისაწვდომობას და ღიაობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაცია განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებგვერდსა და ინტერნეტ სივრცეში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლაში მოსწავლის მიღების, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა თუ აღდგენის პროცესებთან დაკავშირებით, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირს (სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელი).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე (მაგ: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა უნიფორმა, ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდები მოსწავლეთა კლასებში განაწილება და სხვ).

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე, სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და დაინტერესებულ პირს განუმარტავს, რომ:

2. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში რეგისტრირდება პირი რომელსაც 15 სექტემბრამდე უსრულდება 6 წელი. 2026 წელს დაიშვება გამონაკლისი და შესაძლებელია პირველ კლასში იმ პირის ჩარიცხვა, 2026 წლის რომელსაც 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდება 6 წელი.

3. სკოლაში კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 18 მოსწავლეს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია

1. პირველკლასელ მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

2. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

3. პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის/მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ გამოცემული შესაბამისი აქტი/აქტები აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სასწავლო წლის დაწყებამდე.

4. ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში თანხმობას/უარს კერძო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ გასცემს რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რესურსცენტრისა თანხმობის და სობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, სკოლა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, ხოლო ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემები და ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6. ამ მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია გააუქმოს რეგისტრაცია მართვის სისტემის მიერ რეგისტრაციისას მინიჭებული უნიკალური კოდის გამოყენებით და ამავე ვადაში განახორციელოს ხელახალი რეგისტრაცია.

7. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უშუალო კომუნიკაციის (განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის) საფუძველზე.

8. სკოლა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აწვდის ზოგად ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო სერვისების თაობაზე, ასევე, სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

მუხლი 3. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია

1. სკოლა, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრავს მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალსა და მათი წარდგენის ვადას;

2. მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა რეგისტრაციისთვის უნდა წარადგინოს განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. არასრულწლოვანი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).;

3. მოსწავლის (გარდა პირველი კლასისა) ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა უნდა წარადგინოს განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. არასრულწლოვანი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე), ასევე, იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ იმ სახის განათლების მიღებას, რომელიც წინ უძღვის ჩასარიცხი კლასის განათლებას.

მუხლი 4. სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლეთა ჩარიცხვა

1. სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე.

3. პირის, რომლის ასაკი აღემატება 10 წელს და არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 5[1] პუნქტის შესაბამისად.

3. სკოლა ვალდებულია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემები და ამ მოსწავლის/მოსწავლეების ჩარიცხვის თაობაზე შესაბამისი ბრძანება ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. სკოლა უფლებამოსილია, მოსწავლის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 5. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტის საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 6. მოსწავლის სტატუსის შეჩერება.

1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების

შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა სკოლას მობილობის მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს აღიდგინოს მოსწავლის სტატუსი ამ წესის მე-8 მუხლით დადგენილი წესით.

41. სკოლა, რომელსაც უარი ეთქვა ავტორიზაციაზე ან გაუუქმდება ავტორიზაცია, ვალდებულია იმ მოსწავლის პირადი საქმე, რომლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი 10 სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა სკოლას მობილობის თხოვნით, გადასცეს იმ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ის სკოლა, რომელსაც უარი ეთქვა ავტორიზაციაზე ან

გაუუქმდა ავტორიზაცია, ხოლო მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული პირადი საქმე შემდგომ გადაეცემა იმ სკოლას, სადაც მოსწავლე განაგრძობს სწავლას და აღუდგება სტატუსი.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა
1. სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ:
ა) სკოლა იღებს ვალდებულებას, ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი.
ბ) სკოლა ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვეტს მოსწავლის სტატუსს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.
გ) სკოლა ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით აფრთხილებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელს და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.
დ) სკოლა მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, აღნიშნულს, წერილობით აცნობებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
ე) მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლა, მოსწავლის პირადი საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
ვ) სკოლა, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის

კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასურს (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 8. მოსწავლის სტატუსის აღდგენა.

1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.
2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.
3. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.
4. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.
5. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.
6. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 9. მოსწავლის მობილობა.

1. მოსწავლის მობილობა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების შესაბამისად.
2. სკოლა მოსწავლის მობილობით დაინტერესებულ პირს განუმარტავს, მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დეტალურად აცნობს საჭირო პროცედურებს.
2. თუ მობილობის პროცედურების დაწყებამდე ან/და დაწყების შემდგომ მობილობის დასრულებმადე სკოლას განცხადებით მიმართავს მოსწავლის რომელიმე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, რომ მობილობის განხორციელების წინააღმდეგია, ასეთ შემთხვევაში სკოლა აჩერებს მობილობის პროცედურებს, იმ დრომდე, სანამ მშობლებს არ მიიღებს ორივე მშობლის წერილობით თანხმობას ან/და არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება. მობილობის განუხორციელებლობის თაობაზე, სათანადო მიზეზის განმარტებით, სკოლა პასუხს აცნობებს ორივე მშობელს.
3. სკოლა უფლებამოსილია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და მოსწავლეს, რომ მოსწავლის ჩარიცხვის შემდგომ, სკოლა უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული

კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 10. კლასის და საფეხურის დაძლევა.

1. სკოლა წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ.
2. სკოლას უფლება აქვს, დაადგინოს გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი.
3. თუ მოსწავლემ კონკრეტულ კლასში ვერ გადალახა სკოლის მიერ დადგენილი ზღვარი, მაგრამ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.
4. სკოლას გაწერილი აქვს საგამოცდო ბადე და აღნიშნულის თაობაზე, წინასწარ, გონივრულ ვადაში ინფორმაციას და დეტალებს აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს.
5. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. დირექტორი უფლებამოსილია, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვისა და წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იმ გაცდენებზე, რომლებიც მოსწავლეებს დაუგროვდათ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობის პერიოდში, ამ მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.
7. მოსწავლეს საბაზო ან/და საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაეთვლება, თუ მისი საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი.

მუხლი 11.გამოყენებული საკანონმდებლო ბაზა.

ამ წესის შემუშავებისათვის გამოყენებულია:

1.საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

2. ბავშვის უფლებათა კოდექსი.

2.საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“

3.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“.
4.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმა“.
5.საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანება „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი12. ცვლილების განხორციელების წესი.
1. წინამდებარე წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს სკოლის დირექტორის ბრძანებით საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების ან/და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტების ცვლილების გამო.